საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/01/2026

MES 4 26 0000047118

გადაწყვეტილება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის №1171730 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების ,,ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო და "ვეტერინარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა არ გაიზირა გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

ა) გააუქმა 1.2 კომპონენტში არსებული კლასტერული მეორე რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმის რუკებისა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების სისტემური გადახედვა, რათა პროგრამის ყველა დოკუმენტში იყოს სრული თანხვედრა და შიდა თანმიმდევრულობა".

ბ) გააუქმა 1.3 კომპონენტში არსებული კლასტერული პირველი რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, სწავლის შედეგებსა და კურსების შინაარსს შორის სრული თანხვედრა. რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკების ყოვლისმომცველი გადახედვა, რათა დადასტურდეს, რომ თითოეული კურსი რეალურად უწყობს ხელს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და მათ განსაზღვრულ დონეებს (შესავალი, გაღრმავება, განმტკიცება)." აღნიშნულმა ცვლილებებმა არ გამოიწვია 1.2, 1.3 კომპონენტებისა და პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,ვეტერინარიის" ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 30 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო და "ვეტერინარიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის სხდომის №46590 ოქმის №5 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სწავლის შედეგებსა და კურსების შინაარსს შორის სრული თანხვედრა. რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკების ყოვლისმომცველი გადახედვა, რათა დადასტურდეს, რომ თითოეული კურსი რეალურად უწყობს ხელს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და მათ განსაზღვრულ დონეებს (შესავალი, გაღრმავება, განმტკიცება).
2. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო გეგმის რუკებისა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების სისტემური გადახედვა, რათა პროგრამის ყველა დოკუმენტში იყოს სრული თანხვედრა და შიდა თანმიმდევრულობა.
3. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული შეფასების მეთოდები განსაზღვრულია, მათი გამოყენება ამჟამად არათანმიმდევრულია. რეკომენდებულია, სისტემატური მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა პრაქტიკული შეფასებების ერთგვაროვანი განხორციელების მიზნით (ყველა პროგრამაზე).
4. რეკომენდებულია, საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოყენების, აკადემიური წერისა და კვლევის ეთიკის საკითხებზე ტრენინგები სისტემურად ჩატარდეს სწავლების ყველა დონეზე.
5. რეკომენდებულია, გაიზარდოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის შესაძლებლობები და დაინერგოს მიზნობრივი ღონისძიებები ინგლისური ენის კომპეტენციების გასაუმჯობესებლად. ეს შეიძლება მოიცავდეს მეტი ინგლისურენოვანი კურსის შეთავაზებას, სპეციალიზებულ ენობრივ ტრენინგებს და საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერას სტუდენტების გლობალური კონკურენტუნარიანობისა და აკადემიური მობილობის გასაძლიერებლად.
6. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს მკაფიო ენობრივი ჩარჩო, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გაცვლითი პროგრამის სტუდენტების სასწავლო პროფესში სრულფასოვანი მონაწილეობა და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
7. რეკომენდებულია, ცენტრალურმა და ფაკულტეტის დონეზე მოქმედმა ხარისხის უზრუნველყოფის (QA) სამსახურებმა გააძლიერონ თანამშრომლობა პროგრამების აკადემიურ გუნდებთან და უზრუნველყონ მათი შესაძლებლობების განვითარება, რათა

დაიხვეწოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, განხორციელდეს სწავლის შედეგების ეფექტიანი შეფასება და რომ შეფასების შედეგები გამოიყენოთ პროგრამების განვითარებისათვის.

8. რეკომენდებულია, კითხვარების გადახედვა, რათა კითხვები და პასუხის სკალები თანმიმდევრულად და ზუსტად ასახავდეს საჭირო ინფორმაციას.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 30 დეკემბერს.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 30 დეკემბრამდე.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №241, 13.12. 2019 წ.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარიაში
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ვეტერინარიის მაგისტრი Master of Veterinary Medicine (MVM)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0841 ვეტერინარია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	308
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ახალციხე, 0800 რუსთაველის ქ.122 უნივერსიტეტის II კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	30.12.2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად ვადა 1 წლი, 30.12.2026 მდე
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	30.12.2032